

წელის სიტემების რეგულირება ვერმონტში



NARUC-ის ენერჯეტიკის მარეგულირებელი პარტნიორული პროგრამა

*საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ
კომისია*

და

ვერმონტის კომუნალური მომსახურების საბჭო

ავტორი

ერიქ ბლეთი

გარემოსდაცვითი კონსერვაციის ვერმონტის დეპარტამენტი

წყალმომარაგების განყოფილება

2008 წლის 17 დეკემბერი



სასმელი წყლის კომუნალური პროგრამის მიმოხილვა

v ვერმონტი დაახლოვებით 1 400 წყლის კომუნალურ სისტემას არეგულირებს

- ეს მოიცავს როგორც მუნიციპალურ, ასევე კერძო სისტემებს
- ძირითადი ამოცანა მომხმარებლების უსაფრთხო სასმელი წყლით მომარაგება გახლავთ



წყლის კომუნალური სისტემები

V ნებისმიერი სისტემა, რომელიც
ემსახურება 25 ან მეტ მომხმარებელს
წელიწადში მინიმუმ 60 დღის
განმავლობაში

- წყლის კომუნალური სისტემების ორი
კვლევაზე ფართო კატეგორია:
- სათემო სისტემები, რომლებიც ძირითადად
სამოსახლო სექტორს ემსახურებიან
- არა-სათემო სისტემები, რომლებიც
სკოლებს, კომერციულ და საწარმოო
მომხმარებლებს ემსახურებიან



წყლის კომუნალური სისტემები

- v ვერმონტში წყლის კომუნალური
სისტემები ითვლიან 25-დან 63 000-
მდე მომხმარებელს.
- v ყველაზე დიდი სისტემა
“შამპლეინის წყლის რაიონია”
რომელიც 12 ქალაქს ემსახურება და
წყალს ტბა შამპლეინიდან იღებს



წყაროები

- ✓ წყლის წყაროს შეიძლება როგორც ზედაპირული, ასევე მიწისქვეშა წყლები წარმოადგენდნენ
- ✓ ჩვეულებრივ, ყველაზე დიდი სისტემები წყალს ზედაპირული ობიექტებიდან იღებენ
- ✓ ვერმონტში დაახლოებით 65 წყლის კომუნალური სისტემა ზედაპირულ წყლებს იყენებს



ზედაპირული წყლების სისტემები

v მონიტორინგი

- გაფილტრული წყლის გამჭვირვალობის და დეზინფექციის ნარჩენების მუდმივი რეგისტრირება
- რუტინული ბაქტერიოლოგიური და ქიმიური სინჯების აღება
- დეზინფექციის ნარჩენები განაწილების სისტემაში – სინჯების აღების ნებისმიერ წერტილში უნდა იყოს თავისუფალი ქლორის გაზომვადი ნარჩენი



მიწისქვეშა წყლების სისტემები

- ✓ 1 300-ზე მეტი სისტემა მიწისქვეშა წყლებს იყენებს
- ✓ მოსხლეობის ჯანმრთელობისთვის უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ზედაპირული წყლები, შესაბამისად ნაკლები გაწმენდა სჭირდება
- ✓ ზოგიერთი სისტემები მოითხოვენ სპეციალურ გაწმენდას ბუნებრივი დამაბინძურებლების (დარიშხანი, ურანი, რადიუმი და ა.შ.) მოშორების მიზნით
- ✓ დიდი სისტემების უმეტესობა ახდენს მუდმივ დეზინფექციას განაწილების სისტემაში ბაქტერიოლოგიური დაბინძურების თავიდან აცილების მიზნით



ფედერალური და საშტატო

- v ვერმონტი ასრულებს და ახორციელებს ფედერალურ მოთხოვნებს ეგრეთ წოდებული “ფრაიმასის” მეშვეობით
 - შტატის ზედამხედველობის პროგრამები ნაწილობრივ ფედერალური ფინანსირებით იფარება
 - თითოეულმა შტატმა უნდა დაანახოს ფედერალურ “გარემოს დაცვის სააგენტოს”, რომ მას გააჩნია ფედერალური კანონების აღსრულების კანონიერი ძალაუფლება



ფედერალური კანონმდებლობა

- ✓ წყლის ხარისხის სტანდარტები და სინჯების აღების სიხშირე
- ✓ რეგულირებული დამაბინძურებლების მოშორების მიზნით გაწმენდის მეთოდები
- ✓ წყლის სისტემების ანგარიშგება და საზოგადოების შეტყობინება
- ✓ ოპერატორების წვრთნა და სერტიფიკაცია
- ✓ ფედერალური სახსრების განაწილება წყლის სისტემებში და ფინანსური დახმარება, ძირითადად სისტემის განვითარების მიზნით გაცემული დაბალი საპროცენტო განაკვეთის სესხების მეშვეობით



წყალმომარაგების განყოფილება

- ✓ 32 სრულ განაკვეთზე მომუშავე თანამშრომელი
- ✓ ფინანსდება ფედერალური გრანტების, ნებართვების გაცემის მოსაკრებლების და შტატის გენერალური ფინანსების მეშვეობით
- ✓ წლიური ბიუჯეტი დაახლოვებით 3.9 მილიონ აშშ დოლარს შეადგენს; იგი იხარჯება თანამშრომლების ხელფასებზე, საექსპლუატაციო ხარჯებზე და ტექნიკური მომსახურების აღმომჩენ ფირმებთან კონტრაქტებზე



წყალმომარაგების განყოფილების პროგრამები

v ნებართვების სამი პროგრამა

- ახალი წყაროს ნებართვა – უზრუნველყოფ ახალი წყაროების სათანადო იზოლირებულობას, წყლის სტანდარტების შესაბამისობას და რაოდენობის ადექვატურობას
- მშენებლობის ნებართვა – უზრუნველყოფს ახალი და გადაკეთებული სისტემების საპროექტო და სამშენებლო სტანდარტებთან შესაბამისობას
- საექსპლუატაციო ნებართვა – უზრუნველყოფს ექსპლუატაციის, ანალიზების და ანგარიშგების წესებთან შესაბამისობას



წყალმომარაგების განყოფილების პროგრამები, გაგრძელება

v სამშენებლო სესხების პროგრამა

- ანაწილებს დაახლოებით 10 მილიონ აშშ დოლარს დამსახურებულ წყალმომარაგების სისტემებს შორის
- დაბალი საპროცენტო განაკვეთები, უპროცენტო სესხები, ან უარყოფით განაკვეთებიანი სესხებიც კი, თემის შემოსავლების დონის გათვალისწინებით
- დაფარვის უფრო ხანგრძლივი პერიოდები, ვიდრე კომერციული სესხების შემთხვევაში



შესაძლებლობების გაძლიერების პროგრამა

- v ემსახურება წყალმომარაგების სისტემების სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერებას, სტავაზობს რა მათ ტექნიკურ, ფინანსურ და მმართველობით მხარდაჭერას
- v მიზანი – გრძელვადიანი შესაბამისობის და სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა